

პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით					
I კვარტალი 2022	323	223 ადამიანს შეეხვდი საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების ფორმატში, რაც დასტურდება საქართველოს პარლამენტის საშვთა ბიუროს მონაცემთა ბაზით, ხოლო 100-მდე ადამიანს შეეხვდი სხვადასხვა ქალაქში გასვლითი შეხვედრების დროს. (სამტრედია, ტყიბული, ჭიათურა, სიღნაღი, საგარეჯო და გორის რაიონის საოკუპაციო ხაზი, სოფელი ხურვალეთი)	პარლამენტში მოსული მოქალაქეების ძირითადი პრობლემები ეხებოდა სოციალურ, ჯანდაცვისა და საპენსიო სესხის პროცენტთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება რეგიონში გამართული შეხვედრების პრობლემატიკას, სამტრედიაში ძირითადი საკითხი იყო ხვნა-თესვასთან დაკავშირებული პრობლემა, ჭიათურაში მეწყერ-საშიშ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემა, სიღნაღი - ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის გარკვეული ფინანსური შეღავათების საკითხი, საგარეჯოში- სოციალური საკითხები და სიღარიბე, ტყიბულში-შახტაში მომუშავე მუშების უსაფრთხოებისა და სოციალური საკითხები და გორის რაიონი ხურვალეთი - საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებისა და მათთვის ხელშემწყობი პროგრამის განხილვის საკითხები.	საპენსიო სესხის პროცენტთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოხდა შესაბამისი რეაგირება „სტრატეგია აღმაშენებლის“ გუნდის მიერ, ასევე, საკითხის დაყენება მოხდა პრემიერ მინისტრის წინაშე. ხვნა-თესვის საკითხზე მინისტრის საათის დროს მოხდა ამ პრობლემის დაყენება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის წინაშე. ტყიბულსა და ჭიათურაში არსებულ მეშახტეთა და მეწყერ-საშიშ ზონებზე არსებულს პრობლემებზე ინფორმაცია მიეწოდა შესაბამის კომიტეტს და ასევე, მინისტრის საათის დროსაც მოხდა ამ პრობლემების მინისტრის წინაშე დაყენება. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების პრობლემების დაყენებაც მოხდა შესაბამის კომიტეტებზე.	ინიცირებულია შესაბამისი კანონპროექტი, ასევე, ჩართული ვიყავით საპენსიო სესხის პროცენტის შემცირების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო ჯგუფის მუშაობაში, გამოცხადდა შესაბამისი ტენდერი და ნაცვლად 36-38%-ისა, ახალი ტენდერის მიხედვით სესხის პროცენტი 26%-მდე შემცირდა. რაც შეეხება, გამჭირებული საწვავისა და სასუქის პირობებში ხვნა -თესვის საკითხს, მინისტრი დაგვიპირდა მთავრობის სხდომაზე აღნიშნული პრობლემის განხილვას და მომდევნო კვირის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მცირემიწიანი ფერმერებისთვის ხვნა-თესვის სამუშაოებისთვის 300 ლარიანი დახმარების დანიშვნის შესახებ. საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების პრობლემების მოგვარების შესახებ, მიუხედავად არა ერთხელ შეხსენებისა ამ თემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, კონკრეტული გადაწყვეტა არ მომხდარა დღემდე.